

შას „ლ.დ.იუნიონ“

ქ. დმანისის მყარი საყოფაცხოვრებო გადანაყარების
პოლიგონის კეთილმოწყობის

საერთო განმარტებითი ბარათი

შას „ლ.დ.იუნიონ“-ის დირექტორი

/ლ. დიდიძე/

თბილისი 2015

შესავალი

ქ. დმანისის მყარი საყოფაცხოვრებო გადანაყარების პოლიგონი მდებარეობს ქალაქის მახლობლად, მისგან 1.5 კმ-ზე, სოფ. ქვემო ოროზმანის მიმდებარედ. ამჟამად პოლიგონის მთელი ტერიტორია დაფარულია მყარი საყოფაცხოვრებო გადანაყარების ფენით. ქალაქის საზღვრიდან პოლიგონამდე მისასვლელი გზა ნაწილობრივ ასფალტირებულის საფარიანია და ნაწილობრივ გრუნტისაა.

1. არსებული სიტუაცია და პროექტირების წინაპირობები

არსებული პოლიგონის ტერიტორია წარმოადგენს მცირე ქანობის ფერდობის ნაწილს ბუნებრივი ქანობით სამხრეთ-აღმოსავლეთის მიმართულებით.

პოლიგონი გეოლოგიურად აგებულია ძირითადი ქანებით-თიხოვანი ქვიშაქვები არგილიტების შუაშრეებით. ძირითადი გრუნტი ზემოდან დაფარულია 1.0–1.4 მ- სიმძლავრის დელუვიურ-აროლუციური გენეზისის გრუნტით, რომელიც წარმოდგენილია თიხოვანი გრუნტის და ძირითადი ქანის ნატეხოვანი მასალის ნარევით. ადგილობრივი თიხოვანი გრუნტის საიზოლაციოდ გამოყენების შესაძლებლობას ართულებს მცირე სიმძლავრე და მისი ფენების მთლიანად დაფარვა და დაბინძურება ნარჩენებით. გარდა ამისა მის გამოყენებას აფერხებს ნატეხოვანი მასალის მინარევიც, რომელიც არა მარტო ძნელად დასამუშავებელს ხდის მას, არამედ ამავე დროს, აქვეითებს გრუნტის საიზოლაციო თვისებებს.

პოლიგონის ტერიტორია შედობილია და აქედან გამომდინარე დაცულია საქონელის და სხვა ცხოველების შეღწევისაგან. პოლიგონი აღჭურვილია საღარაჯო ჯიხურით.

2. ძირითადი საპროექტო გადაწყვეტების დახასიათება

პოლიგონის შემდგომი ხანგრძლივი და ეფექტური ექსპლოატაციისათვის მოსამზადებელი ღონისძიებანი შეიძლება პირობითად 2 ჯგუფად დავყოთ:

- პოლიგონის ტერიტორიის საერთო დაგეგმარება;
- პოლიგონის ინფრასტრუქტურის ობიექტების დაგეგმარება.

ქვემოთ განვიხილავთ მათ ცალ-ცალკე.

2.1 პოლიგონის ტერიტორიის საერთო დაგეგმვარების პრინციპები

პოლიგონის ტერიტორიის საერთო დაგეგმარება გადამწყვეტია მისი შემდგომი რენტაბელური ექსპლოატაციისათვის.

ის გარემოება, ორმ ამჟამად პოლიგონზე არსებული მყარი საყოფაცხოვრებო გადანაყარები განაწილებულია მის მთელ ფართობზე და მათი ფენის სისქე 2.0 მ-ს აღწევს, არამიზანშეწონილს ხდის მათ მოგროვებას და კომპაქტურ კონსერვაციას ტერიტორიის ერთ რომელიმე ნაწილზე. ასეთი სახის გადაწყვეტილება საკმაოდ შრომატევადი, ვადებში გაწელილი და ძვირადლირებული იქნებოდა. ამიტომ, პოლიგონის შემდგომი ექსპლოატაციისთვის მოსამზადებლად, მიზანშეწონილად მივიჩნიეთ მასზე არსებული გადანაყარები მოგვესწორებინა და მოგვეხდინა მათი იზოლაცია თიხოვანი გრუნტით. გადანაყარების მოსწორება ხორციელდება ისეთ ნიშნულზე, რომელიც უზრუნველყოფს მასების ე.წ. „ნულოვან ბალანსს“ ანუ მოსაჭრელი და დასაყრელი მოცულობების ტოლობას, ყრილის ტკეპნის კოეფიციენტის გათვალისწინებით. ტკეპნის (შემკვრივების) კოეფიციენტი არსებული ძველი, დამჯდარი გადანაყარების მასისათვის მიღებულია 1,2-ის ტოლად. მოჭრილი და გადაადგილებული არსებული გადანაყარების მასები, რომლებიც დამუშავების პროცესში განიცდიან გაფხვიერებას უნდა დაიტკეპნოს ვიბროსატკეპნების მეშვეობით. მათი დატკეპნა საჭიროა მომავალი პოლიგონის ზედაპირის მომეტებული ჯდენების თავიდან ასაცილებლად. აღნიშნული მოსწორებული ზედაპირი უნდა იყოს თითქმის თარაზული (შეუმჩნევი ქანობით) რაც უზრუნველყოფს გადანაყარების ახალი მასის ფილტრატის თანაბარ განაწილებას პოლიგონის მთელ უუძეზე და გამორიცხავს ფილტრატების კონცენტრირებული ნაკადების წარმოქმნას. ვინაიდან პოლიგონის ტერიტორიას გააჩნია შესამჩნევი ბუნებრივი ქანობი, მიზანშეწონილია მომავალი საოპერაციო ფართობების ტერასულად განთავსება. მომავალი ნარჩენების დასასაწყობებლად, პოლიგონზე დაგეგმილია სხვადასხვა დონეზე განთავსებული ორი პორიზონტალური ტერასის მოწყობა. უკვე მოსწორებული ტერასების ზედაპირები იზოლირდება 30სმ-ის სისქის დატკეპნილი თიხოვანი გრუნტის ფენით. აღნიშნული ფენა უზრუნველყოფს არსებული გადანაყარების იზოლაციას და ამავე დროს აფერხებს მასზე განთავსებული ახალი გადანაყარების ფილტრატის გავრცელებას მის ქვემოთ. ამ სამუშაოების განხორციელების შედეგად მივიღებთ პოლიგონის ახალ სუფთა ზედაპირს, რომელიც მზად იქნება მისი შემდგომი ექსპლოატაციისათვის.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, აღგილობრივი გრუნტის საიზოლაციოდ გამოყენება მიზანშეუწონელია. ამიტომ მთელი საიზოლაციო გრუნტი უნდა შემოიზიდოს გარე კარიერიდან. ამ კარიერიდან შემოიზიდება როგორც არსებული გადანაყარების საიზოლაციოდ საჭირო გრუნტის ოდენობა, ასევე გრუნტის გარეკვეული მარაგიც (რეზერვი) შემდგომი ექსპლოატაციის პერიოდში პოლიგონზე

მიღებული მყარი გადანაყარების დასაფარავად. ეს მარაგი განთავსდება ტერიტორიაზე განაწილებულ საეციალურ კავალიერებში, მომავალი გადანაყარების დასასაწყობებელი უჯრედების სიახლოვეს.

პოლიგონზე ამჟამად არსებული გადანაყარების თანაბრად განაწილების გამო მიზანშეწონილი არ არის ახალი გადანაყარების ტრანშეული დასაწყობება. ამიტომ პროექტით დაგეგმილია, მომავალი ექსპლოატაციის პერიოდში, ახალი გადანაყარების შენახვა-დასაწყობება განხორციელდეს მიწისზედა ყრილებში გვერდების ქანობებით 1:4.

ექსპლოატაციის პერიოდში გადანაყარების მიღება-დასაწყობების გასაადგილებლად, გათვალისწინებულია დროებითი გზების მოწყობა საიზოლაციო თიხნარის საფარზე. დროებითი გზები განსაზღვრულია მოწყოს დორდის საფარისაგან, ქვიშა-ხრეშოვანი ნაზავის საფუძველზე. ეს გზები ეწყობა მთელ ტერიტორიაზე და მათი განთავსების ადგილები შესამებულია მომავალი გადანაყარების შესანახი უჯრედების და ნაგავმზიდების დაცლის ადგილებთან. ამავე გზებთან, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, განთავსებულია საიზოლაციო თიხოვანი გრუნტის მარაგების კავალიერები. აქედან გამომდინარე აღნიშნული გზების გამოყენება შესაძლებელია საკმაოდ დიდი ხნის მანძილზე. თანდათანობით. ტერიტორიის გადანაყარებით შევსებასთან ერთად, გზების ნაწილი მოხვდება უჯრედების ქვეშ.

პოლიგონის პერიმეტრზე დაგეგმილია წყალამრიდი არხების მოწყობა, რომელიც უზრუნველყოფს მეზობელი ტერიტორიიდან შემოდინებული ავდრის წყლის ბლოკირებას. ეს არხები ემსახურება ასევე პოლიგონის შიდა ტერიტორიიდან წყლის გადაყვანასაც.

ვინაიდან პოლიგონი მოქმედია, მისი კეთილმოწყობის სამუშაოების მიმღინარეობისას შემსრულებელმა ორგანიზაციამ უნდა უზრუნველყოს ამ პერიოდში ტერიტორიაზე შესული ნარჩენების მომსახურება და განთავსება.

პოლიგონის ტერიტორიაზე გამოყოფილია სამეურნეო ზონა, რომელშიც თავმოყრილია ინფრასტრუქტურის ობიექტები. მათ შესახებ დაწვრილებით ქვემოთ ვისაუბრეთ.

2.2 პოლიგონის ინფრასტრუქტურის ობიექტების დახასიათება

პოლიგონის ინფრასტრუქტურის ობიექტები უზრუნველყოფენ მის ეფუძნებულ მუშაობას ექსპლოატაციის პერიოდში. პროექტი ითვალისწინებს ინფრასტრუქტურის შემდეგი ობიექტების მოწყობას:

- ტერიტორიის არსებული შემოღობვის ოეაბილიტაციას და ახალი შესასვლელი ჭიშკრის მოწყობას;
- სადარაჯო ჯიხურის საძირკვლის მოწყობას და მასზე არსებული ჯიხურის განთავსებას;
- მანქანა-მექანიზმების ფარდულის მოწყობას;
- დასასვენებელი ფანჩატურის მოწყობას;
- საპირფარეშოს მოწყობას;
- სახანძრო ფარის მოწყობას სადარაჯო ჯიხურზე;
- სანაგვე ურნების და გადასატანი მაჩვენებლების მოწყობას;
- სასმელი წყლის სამარაგო ავზის და ხელსაბანის მოწყობას;
- სამეურნეო ზონის ტერიტორიის განათება და ინფრასტრუქტურული ობიექტების ელექტროუზნენელეკტროფა.

ტერიტორიის არსებული შემოღობვის ოეაბილიტაცია გულისხმობს არსებული ლობის დგარების შედებვას. გარდა ამისა დაგეგმილია ახალი შეასასვლელი ჭიშკრის მოწყობა.

სადარაჯო ჯიხური კონტეინერის ტიპისაა და არსებობს ადგილზე. პროექტით გათვალისწინებულია მისთვის ახალი საძირკვლის მოწყობა და მასზე განთავსება.. ჯიხურის ერთ-ერთ კედელზე დამაგრდება სტანდარტული სახანძრო ფარი.

მანქანა-მექანიზმების ფარდული განსაზღვრულია 1 ბულდოზერის განსათავსებლად. ფარდული შესრულებულია მთლიანად ფოლადის კონსტრუქციებით. სახურავის და კედლების შემოსვა ხორციელდება ფერადი მოთუთიებული თუნჯქის პროფილირებული ფენილით.

დასასვენებელი ფანჩატური წარმოადგენს ასევე მარტივი ტიპის ნაგებობას ფოლადის კონსტრუქციების კარგასით.

საპირფარეშო აღჭურვილია ასინიზაციის ჭით. მისი კედლები შესრულებულია სენდვიჩ-პანელებით, ხოლო მზიდი კარგასი ასევე ფოლადისაა.

სამუშაოები ითვალისწინებს ასევე პოლიგონის ტერიტორიაზე არსებული ერთსართულიანი არასაცხოვრებელი ნაგებობის (ზომებით გეგმაში 18.5X15 მ) დემონტაჟს და სამშენებლო ნაგვის მოსწორებას პოლიგონის ტერიტორიაზე.

შეასრულა:

/ა. ნატროშვილი/